სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულება #61

ქ. თბილისი 14 დეკემბერი 2016 წელი

ერთი მხრივ, **ა(ა)იპ ,,ოუფენ ნეტი" (შემდგომში_შემსყიდველი),** წარმოდგენილი მისი **დირექტორის ნინო ქუბინიძის** სახით და, მეორე მხრივ, **შპს „თბილისის ბიზნეს სახლი"** (შემდგომში_მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი **დირექტორის მინდობილი პირის ნათია ცაციაშილის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია მთარგმნელობითი მომსახურების (ვებ-გვერდზე (www.opennet.ge) განსათავსებელი ინფორმაციის თარგმნა ქართულიდან ინგლისურ ენაზე,ნსულ არასრული 26 გვერდი) შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, **CPV – 79530000.**

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.2. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. ხელშეკრულების ღირებულებაა **349.67 (სამასორმოცდაცხრა ლარი და 67 თეთრი)** ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გათვალისწინებით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

3.2. შემსყიდველი ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის გადახდას განახორციელებს გრანტის სახსრებით.

3.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და წინამდებარე ხელშეკრულების 4.2. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს 2016 წლის 19 დეკემბრისა.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

6.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

7.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის შემდგომ და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით, მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებამდე.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველ დაგვიანებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.

9.3. იმ შემთხვევაში პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.4. მიმწოდებელი ვალდებულია დაფაროს პირგასამტეხლო არაუგვიანეს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

9.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით

გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.3. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლს და ზედამხედველობას, მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს – ნინო ქუბინიძე.

13.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

13.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

14. ინტერესთა კონფლიქტი

14.1. ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ ამ კანონის მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

15. სხვა პირობები

15.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
ა(ა)იპ ,,ოუფენ ნეტი"
ქ.თბილისი, ლეონიძის ქ. #1
ს/კ 404497790
სახელმწიფო ხაზინა
TRESSGE
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ა/ა 302007000

დირექტორი:
ნინო ქუბინიძე

მიმწოდებელი:
შ.პ.ს „თბილისის ბიზნეს სახლი"
ს/კ 404482608
მისამართი: რუსთაველის 14/2
სს ,,საქართველოს ბანკი"
ბ/კ: BAGAGE22
ა/ა: GE59BG0000000883593700

დირექტორის მინდობილი პირი:
ნათია ცაციაშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №160544346;

ორიათას თექვსმეტი წლის 23 მაისს მე, ნოტარიუს მარინა ჟორდანიას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №22, შპს "თბილისის ბიზნეს სახლი"-ს სახელით (საიდენტიფიკაციო კოდი: **404482608.**) მომმართა გიორგი გაგნიძემ და განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დადასტურება, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს ნათია ცაციაშვილს. მე დავადგინე გიორგი გაგნიძის (დაბ. 07.03.1985წ. თბილისი, რეგ. მის.: თბილისი, დ. წყნეთი გაგრის III ჩიხი **N 3 ბ. 11**, პირადი №01027023991.) პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ მისი კარნახით შედგა მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა მინდობილობა და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი მინდობილობას.

მინდობილობა

2016 წლის 23 მაისს მე, გიორგი გაგნიძე, როგორც შპს "თბილისის ბიზნეს სახლი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: **404482608.**) დირექტორი, "მიმნდობი პირი" წინამდებარე მინდობილობით ნათია ცაციაშვილს (დაბ. 17.12.1989წ. თბილისი, რეგ. მის.: თბილისი, დიღმის მასივი 1 კვ. კორ. 6, ბ. 15, პირადი №01005023321.), როგორც „მინდობილ პირს", ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

ნათია ცაციაშვილი უფლებამოსილია შპს "თბილისის ბიზნეს სახლი"-ს (ს/კ: **404482608**) სახელით მონაწილეობა მიიღოს ტენდერებში, შემსყიდველებთან გააფორმოს ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები და სხვა დოკუმენტები. აწარმოოს სატენდერო დოკუმენტაცია, მოლაპარაკებები ფიზიკურ და/ან იურიდიულ პირებთან, კომერციულ და არაკომერციულ იურიდიულ პირებთან, არასამთავრობო, საქველმოქმედო და სხვა პირებთან. იყოს ჩემი წარმომადგენელი ყველა ინსტანციის სასამართლოში, სასამართლო და სააღსრულებო ორგანოებთან ურთიერთობაში, ადმინისტრაციულ ორგანოებში, კერძო არბიტრაჟში, საგადასახადო სამსახურში, ჯორჯიან ნეთვორკ სერვისთან. ასევე, ჯორჯიან ნეთვორკ სერვისთან ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტზე, გადაიხადოს ნებისმიერი გადასახადები, როგორც გააფორმოს, ასევე გადააფორმოს სალარო აპარატი ნებისმიერ კომპანიაზე. შესაბამის სამსახურებში ჩააბაროს, მიიღოს და წარადგინოს სათანადო დოკუმენტაცია, განცხადება და/ან სარჩელი როგორც კერძო, ასევე იურიდიულ და სახელმწიფო სამსახურებში, ყველა ინსტანციის სასამართლოში, მიიღოს ამონაწერები, გადაიხადოს ყველა აუცილებელი საზღაური, მოსაკრებელი და ფულადი თანხა. ისარგებლოს შპს "თბილისის ბიზნეს სახლი"-ს ბეჭდით. საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერი ბანკიდან და/ან მათ ნებისმიერი ფილიალიდან მიიღოს საბანკო გარანტია ნებისმიერი ოდენობის თანხაზე, მიიღოს ამონაწერი. აღნიშნულთან დაკავშირებით უფლებამოსილია იყოს ჩემი – გიორგი გაგნიძის, როგორც შპს "თბილისის ბიზნეს სახლი"-ს (ს/კ: **404482608**) დირექტორის წარმომადგენელი საქართველოს ნებისმიერ სახელმწიფო და/ან არასახელმწიფო დაწესებულებაში, ფიზიკურ და/ან იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში. მათ შორის ნებისმიერ სახელმწიფო სტრუქტურაში, ნებისმიერ სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანოებში, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერი ბანკში და/ან მის ნებისმიერი ფილიალში.

ზ/აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში ხელი მოაწეროს ჩემს მაგივრად და განახორციელოს აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ქმედება.

მინდობილობა გაცემულია 1 (ერთი) წლის ვადით 2016 წლის 23 მისიდან 2017 წლის 23 მაისის ჩათვლით გადანდობის უფლების გარეშე და ძალაშია მის გაუქმებამდე.

მინდობილობა შედგენილია სამ ეგზემპლარად, ერთი რჩება ნოტარიუსთან, ორი გადაეცა მიმნდობს

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური 10.00 (ათი) ლარი საქართველოს მთავრობის 29.12.2011წ. დადგენილება №507, მუხლი 31.7-ის თანახმად და 2.00 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფასური თანახმად მუხლი 39.1. სულ 12 (თორმეტი) ლარი.

"თბილისის ბიზნეს სახლი"-ს სახელით

მიმნდობი: _____ გიორგი გაგნიძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

19845233218416

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N160544346

რეგისტრაციის თარიღი

23.05.2016 წ

ნოტარიუსი: მარინა ჟორდანია
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი № 22
ტელეფონი: 2 99-50-61; 599 27-39-28

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18